ეროვნული ბიბლიოთეკა


გაზეთის ღირს

| თვე | მანეთი კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაგზავნად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარსევანოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივ სტრიქონი რვა კაპეიკი.

1871891 — პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1891


დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 5 თებერვალს.

გაზ. „ივერია“ პირველ თებერვლიდგან წლის დამლევამდე ღირს 9 მ. 50 კ.

[ქ]ნეინა ლიუბოვ პეტრეს ასული ერისთავისა და კნიაჟნა ქეთე[ვან] დიმიტრის ასული ერისთავისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 4 თებერვალს, გარდახდილ იქმნება წლის წირ[ვა] და პანაშვიდი განსვენებულის თ. ელიზბარ დიმიტრის ძის ერის[თავის] სულის მოსახსენებლად დიდუბის ეკკლესიაში, დილის 10 [საათ]ზედ. (2—2)

4 თებერვალს დაბა ყვირილის ეკკლესიაში გარდახდილი იქ[ნე]ბა წირვა და პანაშვიდი პეტერბურგს გარდაცვალებულის პოლკოვ[ნიკი]ს თავად სვიმონ ქაიხოსროს ძის აბაშიძე-გორდეევის სულის [მო]სახსენებლად. ნათესავნი განსვენებულისა — თავადნი აბაშიძენი [აუწ]ყებენ ამ გარემოებას განსვენებულის ხსენების პატივის-ცემის [მსუ]რველთ. (1—1)

## ა. ი. ფიშერის ცირკი

[კ]ვირას, 3 თებერვალს, გამართული იქნება ორი სადღესა[სწაუ]ლო წარმოდგენა მთელის დასისა და კორდებალეტის მონაწილეობით. დასასრულ ითამაშებენ კომიკურს პანტომიმას დღი[ლი]ს — ცელქი მოსწავლენი და საღამოზედ საუცხოვო პანტომიმას — ბრძოლა რუსებისა უაბარდოელებთან.

ყოველ დღე გმართავთ წარმოდგენას ახალ-ახალის პროგრამით. კვირას უქმე დღეობით ორ-ორი წარმოდგენა გვაქვს ხოლმე, დღისით ბავშვებისთვის მლიერ დაკლებულის ფასით და საღამოობით.

[ვ]ისაც ჰსურს ცხენოსნობის სწავლა, პირობების შეტყობა შეუძლიანთ [ცირკი]ს რეჟისორ ბ-ნ ბენიამინთან. იქვე მიიღებენ ცხენებს გასაწვრთნელად.

დღის წარმოდგენა იწყება ნაშუადღევის 2 საათზედ, საღამოსი — 8 საათზედ.

[გამგე]ობა ტფილისის საქალაქო [სა]მილის სახელოსნო სასწავლებლისა [უმ]დაბლესად სთხოვს ყველას, [ვის]აც საინტერესოდ მიაჩნია საპროფესიონალო განათლებისა და მის წარმატების საქმე, მობრძანდეს და დაესწროს წლიურს აქტს ამა სასწავლებლისა 3 თებერვალს, ნაშუადღევის [პირ]ველ საათზე. (2—2)

ტფილისი, 1 თებერვალი

[ა]რ იქნა, ვერ დაწყნარდა და [ვე]რ დამშვიდდა ირლანდიის ერი. მავრობასთან შეხლა და შეტაკება ისევ ისე ხშირია, როგორც ამ [ოც]-ოთხის წლის განმავლობაში [იყ]ო. ურთიერთობა ერსა და მთავრობას შორის იმდენად მწვავდება ზოგჯერ, რომ მთავრობა [ი]ძულებულია ხოლმე დააპატიმ[რ]ოს ირლანდიის დეპუტატები, [რ]ომელთაც-კი შეჰნიშნავს, რომ [ხ]ალხს აღელვებენ და ურჩევენ წინააღმდეგობა გაუწიეთ მთავრობის მოხელეებსაო. ამას წინად ირლანდიის გამგებელმა, ინგლისის პოლიტიკის მეთაურის დისწულმა, ბალფურმა, დააპატიმრა ირლანდიის ერის ორი წარმომადგენელი, დილლონი და ო'ბრიენი. ამ ამბავმა ერთი აყალმაყალი ასტეხა როგორც თვით ინგლისში, აგრეთვე ინგლისის გარეშეც. თვით ბალფური არაფერს უთმობს ირლანდიელებს და მცირედის უწესოების გამო სასტიკ პოლიციურ ღონისძიებას მიჰმართავს ხოლმე. ასეთი საქციელი და სისტემატიური მოქმედება მთავრობისა უფრო აბრაზებს და აჯავრებს ხალხს და, რასაკვირველია, სიწყნარისა და სიმშვიდის გზაზედ არ დააყენებს.

წელს უსიამოვნება მით უფრო მწვავდება, რომ ირლანდიაში სიმშილი ჩამოვარდება და ხალხს გაწყვეტას უქადის. კუნძულის დასავლეთ ნაწილში კარტოფილი სრულიად არ მოვიდა და ბედისაგან დევნილმა ირლანდიელმა აღარ იცის, რა ჰქმნას, ან თავი როგორ გამოიკვებოს, ან მემამულეს როგორ გასცეს პასუხი. ლენდ-ლორდები-კი თხოულობენ, უნაკლულოდ ჩაგვაბარეთ ხარკი და იჯარის ფულიო; ვისაც თავი არა გაქვთ ამისი, აიყარენით, გასწით და დაიღუპენითო. ხალხიც, რასაკვირველია, თავის ნებით არ იყრება და მემამულე პოლიციის შემწეობით ასახლებს ურჩ მეიჯარადრებს.

ასეთი უგვანო, შეუბრალებელი საქციელი ინგლისის ლენდ-ლორდებისა ირლანდიაში ზიზღსა ჰგვრის თვით კონსერვატორებსაც, ლიბერალების დასი ხომ ამ სამწუხარო საქმეების გამო თამამად ამხილებს ქვეყანას, რომ დროა ბოლო მოეღოს ინგლისში ასეთს ბარბაროსობასაო. გამოჩენილის მოხუცის ერთგული თანამოაზრე, ჯონ მორლეი წავიდა ირლანდიაში, მთლად მოიარა კუნძული, თავის თვალით ნახა ერის გაჭირება და ის სასტიკი გამგეობა, რომელიც შემოიღო მარკიზ სალისბერის კაბინეტმა, და ყველაფერი აუწყა დაწვრილებით ინგლისის ერს. მორლეის მხურვალე სიტყვებმა, სავსემ კეთილშობილურისა და პატიოსნურის გრძნობით, ელვასავით მოირბინა ინგლისი და ყველგან თანაგრძნობა მოუპოვა ბედკრულს ერს.

როგორც მოსალოდნელი იყო, მორლეის ხმა მისცა დაუღალავმა გლადსტონმა და ძალით შერჩენებული საქმე ირლანდიელებისა ხელ-მეორედ განახლდა. გლადსტონმა ცოტათი შეამცირა თავისი ირლანდიური პოლიტიკა, აღარა თხოულობს ირლანდიისთვის განსაკუთრებულსა და დამოუკიდებელს პარლამენტს. მხოლოდ საქვეყნოდ აცხადებს, რომ ირლანდიას უსათუოდ უნდა მიენიჭოს თვით-მმართველობა და ეს თვით-მმართველობა უსათუოდ ირლანდიელებისავე ხელში უნდა იყოსო. ამ გვარად შეკვეცილი პროგრამმა გლადსტონისა მოეწონა ინგლისის ერს და 80-მდე ხმა შეჰმატა ლიბერალების დასს. მალე ახალი არჩევანები უნდა მოხდეს ინგლისის პარლამენტში და ლიბერალები იმედოვნებენ, რომ მომეტებული ნაწილი ერის წარმომადგენლებისა მათი მომხრე იქნება, გამგეობა სახელმწიფოსი მათ ჩაუვარდებათ ხელში და მაშინ საბოლოოდ გადასწყდება ირლანდიელების საქმეო.

ასე კარგად დაწყებული საქმე ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ დიდად შეაფერხა და შეიძლება ძალზედ ხელიც შეუშალოს. საქმე აი რაშია. ყველამ იცის, რომ ამ უკანასკნელის თხუთმეტის წლის განმავლობაში თავ-განწირულად იბრძოდა ირლანდიის კეთილდღეობისთვის მთელის ევროპისაგან ცნობილი პარნელი, რომელსაც „არა-დაგვირგვინებულ მეფეს“ ეძახდნენ. ეს საკვირველი საპოლიტიკო მოღვაწე სასტიკად და მედგრად იბრძოდა თავის საყვარელის საქმისთვის, დაჰბადა ირლანდიაში საკუთარი დასი, მოუპოვა თვით ინგლისში მრავალი მომხრე ირლანდიას და ისეთი ძალა და მნიშვნელობა შეიძინა პარლამენტში, რომ ვერც ერთი საპოლიტიკო დასი ინგლისისა პარნელის დაუხმარებლად ქვეყნის მართვა-გამგეობას ვერა კისრულობდა. თხუთმეტი წელიწადი იბრძოლა პარნელმა, საქმე-საქმეზედ მოიყვანა და სწორედ ამ დროს მცირედმა შემთხვევამ თითქმის სამუდამოდ მოუღო ბოლო იმის საპოლიტიკო მოღვაწეობას. რამდენი განსაცდელი გამოუვლია პარნელს, რამდენი მტერი მოუგერებია, რამდენი ცილის-დაწამება აუცილებია თავიდგან! მარშან კონსერვატორებმა სამშობლოს ღალატიც დასწამეს და მოხერხებით განგებ ყალბის ქაღალდების შედგენაც დააბრალეს, მაგრამ პარნელი ყველა განსაცდელიდგან სპეტაკი გამოდიოდა, უფრო საყვარელი და სანუკარი როგორც თავისის ერისთვის, ისე ინგლისისათვისაც. მაგრამ შარშან ბედმა უმუხთლა. ირლანდიის ყოფილმა პატრიოტმა და პარლამენტის წევრმა ო'შიმ დასწამა პარნელს უზნეობა, ჩემს ცოლთან უკანონო კავშირი აქვსო. ამისათვის სთხოვა მოსამართლეთ, გამაქორწინეთ ჩემს ცოლთანაო. ინგლისის უმაღლესმა სასამართლომ ნაფიცთა მსაჯულთა თანადასწრებით განიხილა საქმე პარნელისა და აღიარა დამნაშავედ „არა-დაგვირგვინებული მეფე“. სასამართლოს ასეთის განაჩენის შემდეგ პარნელს აღარ შეუძლიან მეთაურობა გაუწიოს ირლანდიის დასს და საპოლიტიკო ასპარეზს. უნდა ჩამოეხსნას და, თუ სამუდამოდ არა, დროებით მაინც უნდა მოშორდეს ინგლისსაცა და თავის საქმესაც.

საპოლიტიკო ზნე-ჩვეულება ინგლისის მაღალის წოდებისა ასეთი ყოფილა, რომ თუ საზოგადო მოღვაწე დამნაშავედ იქმნა ცნობილი სასამართლოსაგან უზნეობაში, იმას აღარ შეუძლიან საზოგადო ასპარეზზედ მოღვაწეობა. ასეთივე საქმე დაემართა ინგლისში ერთს გლადსტონის ნიჭიერ თანამოაზრეს და მომხრეს, ჩარლზ დილკს, რომელიც მას შემდეგ სადღაც მიიმალა და აღარც-კი იციან, სად არის ეხლა. ინგლისის მაღალი საზოგადოება, სავსე ფარისევლობითა და უზნეობით, ყურსაც არ იბერტყავს, თუ ყველა ეს უზნეობა ფარულად ხდება, მაგრამ სასტიკად და შეუბრალებლად სდევნის ყველას, ვისი საქციელიც-კი გამოაშკარავდება. ასეა თუ ისე, ამ მოულოდნელმა შემთხვევამ ლამის სამუდამოდ და ცოცხლივ დამარხოს ერთი უკეთესი შვილი ირლანდიისა.

ა. ფურცელი

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მივიღეთ ახლად გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, ანუ მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა, გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა“. წიგნში მოთავსებულია: I წინასიტყვაობა (I—XXIV); II „უწყება მიზეზისა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების“, წერილი ეფრემ მცირისა (XXIV—LVII). III ცხოვრება წმიდისა ნინოსი (1—78); IV შედარებითი სია საქართველოს მეფეთა ქართლის მოქცევის და ქართლის ცხოვრების ცნობებით და V შედარებითი სია საქართველოს ერისთავთა ქართლის მოქცევის, სუმბატის ისტორიის და ქართლის ცხოვრების ცნობებით. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი და ფასი მისი ორი აბაზია.

*** გუშინ, ამ თთვის 1, ტფილისის საქალაქო საავადმყოფოში, ნაშუადღევის პირველ საათზე, პროფესორ კოხის ლიმფით პირველად უწამლეს სხვათა შორის ერთ სიწვილით ავადმყოფს, ბ-ნ გ—შვილს, რომელიც მკურნალმა მაისურიანცმა თავის ხარჯით მიაღებინა საავადმყოფოში. ამ ავადმყოფს პირველად ხუთის მილიგრამის ლიმფით უწამლეს, რომელიც წყალში გახსნილ კარბოლის სიმჟავეში გაურიეს. ამ ავადმყოფს კისერზე ჰლექის სიწვილის იარები აქვს, ხოლო სახეზე კეთროვანებისა, მაგრამ კეთროვნების ბაცილები-კი ვერ იქმნა აღმოჩენილი. საყურადღებოა, რა ცვლილებას მოახდენს ამ ავადმყოფში კოხის ლიმფა. წინანდელს ჰლექის სიწვილით ავადმყოფთა შორის, რომელთაც ჯერ კიდევ კოხის ლიმფით სწამლობენ, ბ-ნი ნასონოვი და ქ-ნი ბუჩკურიძისა უკვე რჩებიან, დანარჩენს ავადმყოფებს ჯერ არა ეტყობათრა. ნასონოვი შვიდი წელიწადია იტანჯებოდა თავის სატკივრით, მაგრამ არავითარი წამალი არა რგებდა ისე, როგორც ლიმფამ არგო ამ ორის კვირის განმავლობაში. ზოგიერთი იარები უკვე მოურჩა. ჰლექიანებს, რომელთაც ფილტვები აქვთ დაზიანებული, ჯერ-ჯერობით აღარ სწამლობენ ლიმფით, რადგანაც მათში ხამპი მეტად სუსტნი არიან და ეშინიანთ, წამლობის დროს უფრო არ შესწუხდნენო. ამ ერთს კვირაში მარტო ერთ ჰლექიანს უწამლეს 2 მილიგრამი ლიმფა, მაშინ-როდესაც ჰლექის სიწვილიანებისთვის 50 მილიგრამამდე ლიმფას ჰხმარობენ.

*** ახალი საფინანსო კომისია საბჭოსი პირველად შეიკრიბა 31 იანვარს გამგეობის კანცელარიაში. კრებას დაესწრნენ ყველა წევრნი კომისიისა, ხმოსანნი: ზუბალოვი, ნიკოლაძე, მ. ი. თამამშოვი, ი. გ. მაჩაბელი, მ. ვ. მაჩაბელი, ვეისენგოფი, ივანენკო, მიქელაძე და ფავლენიშვილი. მაშინვე ამოირჩიეს თავმჯდომარედ მ. ი. თამამშოვი და შეუდგნენ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. კომისიამ იმუშავა ღამის 1 საათამდე. განიხილა ჯერ მხოლოდ რამდენიმე მუხლი ქალაქის შემოსავლისა. კომისიამ გადასწყვიტა გასინჯოს თავის თვალით ყოველი კუთვნილება ქალაქისა, როგორც შენობები, დუქნები, მაღაზიები, აგრეთვე იჯარით გაცემული ადგილები, და შემოწმოს ყოველ გვარი შემოსავალი. საგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი რომ უფრო საფუძლიანად შეისწავლოს, კომისიამ მოსთხოვა გამგეობას საქმეები, კონტრაქტები იჯარადრებისა ქალაქთან, ხარჯთ-აღრიცხვანი ყოველ წარსულ წლებისა და სხვანი. აგრეთვე გამგეობასა სთხოვა წარუდგინოს ცნობანი იმ საკითხებზე, რომელიც ხმ. ზუბალოვმა სიით მოსთხოვა იქით ორშაბათის კრებაზე საბჭოში და რომელიც შეეხება იმის გამოძიებას, თუ რამდენი ვალი აძევს ქალაქს, ვის რა ჰმართებს და ან რა ქონება უჭირავს ხელში. კომისიასა სწადიან ისტორიულად შეისწავლოს და გაითვალისწუნოს არა მარტო შემოსავალი ქალაქისა ამ 16 წლის განმავლობაში, რაც თვით-მართველობა იქმნა ტფილისში შემოღებული, არამედ გასავალიც.

*** შარშან ჩვენს ქალაქს შემდეგი შემოსავალი ჰქონია: სატიოხი 17,000 მან. (1714 მანეთით მოსალოდნელზე მეტი); ქალაქის სახლებისა 10,860 მან. და 82 კაპ., ეტლების და საქონლის მეიდნებზე დგომისა—17,197 მან. 53 კ., ქალაქის საყასბოსი—33,590 მ. და 54 კაპ., ქალაქის ბორნებისა—6,237 მან. და 62 კაპ. ვერის ხიდისა—11,148 მან. და 79 კაპ., მნაცაკანოვის ხიდისა—4,775 მ. და 90 კ., ქალაქის სასწორებისა—7,403 მ. და 69 კაპ., ცხენების გადასახადი—23,050 მან. და 50 კაპ., სხვა-და-სხვა ვაჭრობის მოწმობათა—24,557 მ. და 63 კ., პატენტები—24,616 მ., ტრაქტირებისა—15,593 მ. და 50 კ., სანოტარიულო ოქმებისა—7,275 მ. და 29 კ. ქალაქის სამკურნალოსი—4,215 მ. და 90 კ., დედათა სამკურნალოსი—799 მ. და 93 კ., უნივერსიტეტის თანხის სარგებელი—4,655 მ., მილის წყლის სახლებში გაყვანისა—25,000 მ., ბუხრების გასაწმენდისა—3,491 მ. და 20 კ. ამას გარდა ქალაქს კიდევ სხვა შემოსავალიც ჰქონდა, მაგრამ ჯერ გარკვეული არ არის, სულ რამდენი შემოსავალი ჰქონია ქალაქს შარშან.

*** ამ ერთის თვის წინად აქაურ გაზეთებში იყო მოხსენებული, რომ ტფილისის სახელოსნო გამგეობის განკარგულებით დაიკეტა ოცამდე დერციკის დუქანი, რადგან ამათ პატრონთ გამგეობაში არ შეუტანიათ ოთხ-ოთხ თუმან ნახევარი, რომელსაც უკანონოდ თხოულობს გამგეობა. როგორც შევიტყეთ სარწმუნო წყაროდგან, ადგილობრივ საგუბერნიო მმართველობას მოუხდენია გამოძიება გაზეთებში დაბეჭდილ ამბის გამო, რომ ვითომ სახელოსნო გამგეობა უკანონოდ ახდევინებს ხელოსან დერციკებს სხვა-და-სხვა გადასახადსაო, და აღმოჩენილა, რომ გაზეთებში მოყვანილი ამბები სიმართლეს მოკლებულია. მართალია, სახელოსნო გამგეობის თხოვნით ადგილობრივმა პოლიციამ დაჰკეტა რამდენიმე დერციკის დუქანი, მაგრამ ეს მოხდა იმისთვის, რომ ამ დუქნის პატრონებს არა ჰქონდათ აღებული ოსტატობის მოწმობანი სახელოსნო გამგეობისაგან და მაშასადამე უფლებაც არა ჰქონდათ საკუთარის დუქნებისა და სახელოსნოების გაღებისა. კანონის ძალით ხელოსანს არ შეუძლიან ხელოსნის სახელწოდება ატაროს ან საკუთრივ იწალმართოს, ვიდრე ჯეროვანს მოწმობას არ მიიღებს. ასეთ მოწმობისათვის, ანუ ატესტატისთვის სხვა-და-სხვა ქალაქში სხვა-და-სხვა ნაირი გადასახადი არის დაწესებული. რაოდენობა გადასახადისა თვით სახელოსნო საზოგადოების ნება-ყოფლობაზეა დამოკიდებული. ატესტატის მისაღებად ტფილისის სახელოსნო საზოგადოებას დაუდგენია 25 მან. და 50 კაპ. ამას უნდა მივუმატოთ სამი მანათიც დასალოცი, რომელიც უნდა გადიხადოს ყოველმა ხელოსანმა, როცა ატესტატს მიიღებს, ასე რომ ხელოსნობის დასაწყობად ხელოსანი მოვალეა გადიხადოს 18 მან. და 50 კაპ. სახელოსნო გამგეობის სასარგებლოდ.

*** ზუგდიდი: აქაური ქართულის სცენის მოყვარენი აპირებენ ამ მოკლე ხანში ქართულის წარმოდგენის გამართვას აქაურისავე დედათა სკოლის სასარგებლოდ. უნდათ ითამაშონ ბ-ნ ავ. ცაგარლის „ბაიყუში“. მოთავე ამ კეთილის საქმისა არის მისი უმაღლესობა პრინცესა მიურატი, რომელიც ხსენებულის სკოლის მუდმივი მზრუნველია. მადლობა ღმერთს, ზუგდიდს ეღირსება ერთი რიგიანი გასართობი საღამო. იმედია, საზოგადოებაც თანაგრძნობით მოეკიდება ამ კეთილს საქმეს.

*** ფოთი: ამბობენ, რომ ქალაქის თავად არჩეული იქმნება დღევანდელი თავი ქალაქის გორისა ბ-ნი ვაზრამოვიო. ამ დღეებში აპირებენ შეუდგნენ აქ ნავთ-სადგურის კეთებასაც და იმის შემთავრებას, რაც რამ აკლია.

*** იანვრის 31 მირზა-რახიმ ოღლიმ პოლიციის მეექვსე ნაწილში გამოაცხადა, რომ 37 მან. სხვა-და-სხვა ნივთეულობა მომპარესო.

## მეგრულს კილოზე წერა-კითხვის შემოღების გამო.

ეს დალოცვილი და დიდებული მეცხრამეტე საუკუნე, მართლა, დიდებული შეიქნა მთელის ქვეყნისათვის. როგორც კარგი ნოყიერი მიწა ამოამცენარებს სალსა და მშვენიერს მცენარეს, ისე ამ საუკუნემ დაუხშირა დაბადება მეცნიერებისა, ფილოსოფოსებისა და რეფორმატორებისა კაცობრიობის სადღეგრძელოდ და მათდა წარსამატებლად. არ დარჩენილა არც ერთი კუთხე ქვეყნისა, რომ მეცნიერებას არ ეჩინოს თავი ამ საუკუნეში. რა გნებავთ, რომ ამ მეცნიერით არ მოვგონოთ, არ გამოვჩინოთ და არ შემოვღოთ სახმარებლად. ბევრმა დიდი ღვაწლიც დასდო კაცობრიობას თავისის შესანიშნავის შრომით.

ამ საუკუნემ არც ჩვენ, მეგრელები, დაგვტოვა ობლად და გულ-ნაკლულად. ჩვენც დაგვებადნენ ამ ბოლოს დროს მეცნიერები ჩვენის სიცოცხლის სადღეგრძელოდ. თქვენი მტერია, ჩვენი სიცოცხლე კიტრად არ ეღირებოდა, ესენი რომ არა გვღირსებოდნენ. აი ნამდვილი იდეალი ჩვენის მყობადის გასაუმჯობესებლად ვისთვის მიუნიჭებია უფალს! ამათი იდეალური მიმხვედრელობა და მოქმედება სწორედ საქებია და აი რად არის საქები: რამდენი ხანია ჩვენის არსებობის აქეთ და დღემდე აბა თუ ვინმე გამოჩენილა ჩვენში ისეთი მეცნიერი, რომ მოეგონოს და შემოეღოს ჩვენს კილოზედ წერა-კითხვა. დღეს-კი ამ მეცნიერებმა გაიმარჯვეს, სძლიეს ამდენის ხნის გამოუკვლეველს საგანს და დაგვიარსეს მეგრულს კილოზედ ასოები და წერა-კითხვა. ამ პატივცემულს მეცნიერებს, როგორც სჩანს, დიდ ხანს უშრომნიათ მეგრულ ასოების ამოსაკრეფად მეგრელების გულ-ღვიძლიდგან და ამიტომაა, რომ ასე ზედ მიწევნით ჰგავს ეს ასოები მეგრულს სიტყვიერებას.

ვისაც-კი შეუძლიან გაარჩიოს მსგავსება ნათესავისა ნათესავისაგან, ის, როცა ჰნახავს ახალ მოგონილ მეგრულს ასოებს, იმ წამსვე იტყვის: „ზედ გამოჭრილი ღვიძლი შვილია ეს ასოები მეგრულის კილოსიო“. ამას, რასაკვირველია, ასე იტყვიან, მაგრამ საოცარი ის არის, რა ტვინმა გაუძლო ამ დიდებულ მეცნიერებს ამ ასოების გამოსაგონებლად და მეგრულ წერა-კითხვის დასაარსებლად?! ვისაც სურვილი აქვს მეგრულის ასოების ნახვისა, ეთხოვეთ გაისარჯონ და ჰნახონ მეათე გამოცემა „Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа“. სწორედ ამ გამოცემაში ჰნახავენ მეგრულ ასოებს და არაკებს. იქვეა საუცხოვოდ გადათარგმნილი „მამაო ჩვენო“ მეგრულს კილოზე, რომელიც ქართულის ასოებით აქვე მომყავს:

„მუმა ჩქინი, ნამუ რექუ ქი ცას! წმიდე ორდას სახელი სქანი; ქუმორთას მაფობაქუ სქანქუ; ორდას ნება სქანი, მუჭოთი ცასუნი, ეთეში ქიყუანას. ქობალი ჩქინი ოსქილადარი ქომეჩი ჩქუ ამუდღა, დო ქუმა პატით ჩქინი ვალეფი თეში მუჭოთი ჩქი ვაპატიენთ ჩქინი მოვალეებს; დო ნუ მიშამიყონანქ ჩქი განსაცდელიშო, დო გიშამირსხი ჩქი ბოროტიშე“.

წამკითხველმა შეიძლება სთქვას: „კარგად არის ნათარგმნი, მაგრამ მაინც არ ვარგა სადმრთო სალოცავად მეგრული კილო, რადგანაც ის მოპარული და წამხდარი ქართული ენაა, და ამის გამო ღვთაებრივი მადლი არა აქვს და არც იმდენი ღირსება და შნო, რომ ამ კილოთი იქნეს სადმრთო წესები აღსრულებულიო“. რაც შეეხება მეგრულის კილოს ნათესაობას ქართულ ენასთან, ამას ცხადად ამტკიცებს თვით „მამაო ჩვენოში“ ქართული სიტყვები, მაგალითად: მუმა, ჩქინი, ცას, წმიდე, სახელი, ნება, ქიყანას, ქუმოპატით, ვალეფი, ნუ, მიშამიყონანქ, განსაცდელიშო, გიშამირსხი, ბოროტიშე და სხვა სიტყვები, მაგალითად: ანგელოზი, წმიდანები, სახარება, სამოთხე, ხატი, ჯვარი, სანთელი, ჯოჯოხეთი, ეშმაკი, წაწყმენდილი, მართალი, ნათელი, წიგნები, ქაღალდი, მელანი, კალამი, ტანისამოსი, ჩოხა, ქუდი, ახალუხი, კაბა, ჩექმა, თოფი, წყალი, ღვინო, ყურძენი, ხადილი, მდინარე, ზღვა, ქვიშა, ქვა, ყვავილი, თუთუნი, ყალიონი, ოთახი, ლოგინი, სტოლი, სკამი, ცხენი, ჯორი, კამეჩი, უბედური, ბედნიერი, მდიდარი, ღარიბი და სხ. ვინ მოსთვლის ყველას.

თითქმის ნახევარი ქართული სიტყვებია მეგრულს კილოში და როდესაც ასეთი ნათესაობაა ქართულსა და მეგრულში, რად უარჰყვეს იმ მეცნიერებმა ქართველებთან ნათესაობა და ქართული წერა-კითხვა? შეიძლება კიდევ ვინმემ სთქვას: თუ ამდენი ნათესაობა არის ქართულსა და მეგრულს სიტყვებში, ეს ნათესაობა რად განუდევნიათ ახლად მოგონილ ასოებიდგან, რომ ერთი ქართული ასო არ არის შიგ ჩართული, მაშინ-როდესაც ქართული სიტყვები მეგრულს სიტყვებში თითქმის ერთი მესამედი ურევიაო? ასოებს-კი არაფერი უშავს, მაგრამ მეგრული ფერი და ხორცი არა აქვს და ამის გამო ადვილად შეიძლება, რომ მეგრული ენა ისე დამახინჯდეს, როგორც დამახინჯდება ლიმონის ხე ნიგვზის ხეზე დამყნილი. ამ უკულმართობის გამო ეჭვი არა გვაქვს ავად მოიხსენიებს მომავალი თაობა იმ ვაჟბატონებს, რომლების ხელმძღვანელობითაც იქნა მოგონილი ეს მეგრული ასოები, რომლის წყალობით ბავშვს არა თუ არ გაეხსნება ნიჭი და გონება, არამედ უფრო გზა და კვალს დაუბნევს და დააჩლუნგებს. ყველაფერი მაშინ ხარობს, როცა ერთის სისხლისაა და ერთის ხორცისა და არა სხვა-და-სხვა სისხლ-ხორცისაო. გარდა ამისა იტყვიან, თუ რომ ვარგებულიყო მეგრულს კილოზე წერა-კითხვის დაარსება სადმრთო წესების აღსასრულებლად და სალიტერატუროდ, განა სამეგრელოს მთავრებსა და სასულიერო წოდებას ამდენს ხანს არ შეეძლოთ შემოეღოთო?

მიხვდით, რომ მეგრული ენა არის საშინაო სახმარებელი ენაო და არა სადმრთო და სალიტერატურო. სამეგრელოში ქართული წირვა-ლოცვა და ლაპარაკი ყველას ესმის, და უფრო კარგადაც. დასამტკიცებლად, თუ გნებავთ, დავასახელებთ მთავარ დავით დადიანის დროის მოხუცებულებს და გასინჯეთ, თუ ყველამ წმინდა ქართული არ იცის. ეს იმიტომ, რომ მანამდე სამეგრელოში უფრო ხმარებაში იყო ქართული მშობლიური ენა, ვიდრე ეხლა. ეხლა იმ შენ საქებ მეცნიერებს ქართული მშობლიური ენა რომ გაუძევებიათ დედებისა და მამების უკითხავად, ნუ თუ ქართული ანდაზა არ გაუგონიათ:

დედის წინ მხტომსა კვიცსაო,
მგელი მოჰგლეჯს კინჩხსაო.

ამ საგანზე ბევრი ბევრს რასმეს იტყვის და კიდეც ილაპარაკონ, ვისაც რა ჰსურს. მე მაინც ჩემსას ვამბობ: საქებია, საქები ჩვენი მეცნიერები. კარგია თუ ავი მათ მიერ მოგონილი ასოები, ვისი რა საქმეა, ჩვენ-კი დაგვიარსეს მეგრული წერა-კითხვა და მეტი რაღა გვინდა? სალამი უთხრათ ყველამ ჩვენს დიდად პატივცემულ მეცნიერებას. „ღმერთო, მიუტევე მათ, ვინაიდგან არა იციან, რასა იქმან.“ ჩვენ მხოლოდ ის გვაწუხებს, რომ ფულები ბევრი დაიხარჯება, შრომა და ცოდვილი ბევრი იქნება და სარგებლობა-კი ცოტა.

ვასილი მასხულია

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქართლი, 28 იანვარი. ქართლის ამბავს რომ მოგიყვეთ, სწორედ გაჰკვირდებით და გაოცდებით: ყვავილმა და საქონლის ჭირმა მუსრი გაგვავლო, მაგრამ ამათზედ უარესი დაგვმართა ქურდობა-ავაზაკობამ. ძველმა წელმა დაგვილოცა ყველა ნაირი უბედურება და ახალმაც, პირშო შვილმა ძველისამ, მაგრად ჩაგვჭიდა ხელი და რაც ძალი და ღონე აქვს გვმათრახავს. მაგრამ რას ეჩმახავ, ჩვენ თითონ ვიმათრახავთ თავს, გოგოლის უნტერ-ოფიცრის ცოლივით. მოდად შემოვიდა, რასაც ცუდს საქმეს გავიგონებთ, მაშინვე მივარდებით საბრალო ძველს წელიწადსა და თავში ვურახუნებთ; ახალი უბედობა დაგვემართება რამე და მივსდგებით ახალს წელს და პანღურის ამოკვრას ვუპირებთ, ეს სულ შენი ბრალია, ცუდი ფეხი მოგვიტანეო. ასეთი საქციელი ჩვენი მხოლოდ გულის მოშფხანველია, გამგრილებელი დასხვა არარა. მართლად-კი რომ განვსაჯოთ, დამნაშავენი ჩვენა ვართ და „ის ჩვენი დამოუკიდებელი გარემოებანი“, რომელნიც ჩინეთის კედლებსავით გარს შემოგვერტყმიან და სულსა გვხუთავენ. რის ძველი, რის ახალი წელი! სულ ჩვენი და გარემოების ბრალია ჩვენი ასეთი დაქვეითება. საითაც გაიხედავ, რომელ კუთხესაც-კი მოავლებს ადამიანი თვალს ამ ჩვენს კურთხეულს ქვეყანაში, ყველგან გულ-შემხუთველი, დამაღონებელი და დამაფიქრებელი ამბები გაეჩხირება თვალებში: გურია ავაზაკობს, მეზობლის სისხლს აქცევს და სვამს, სამეგრელო ქურდბაცაცობს, იმერელი „კლიაუზნიკობს“, კახეთი და მისი მეზობელი ადგილები მამულებს ჰყიდის და ჯიხვების ცლაშია, ქართლში ...ჰმ! ქართლი?! ქართლმა ყველას ათის თაბახით გადააჭარბა: ქართლი ქურდბაცაცობს, როგორც სამეგრელო, ავაზაკობს, როგორც გურია, ქეიფობს და ჰყიდის მამულებს, როგორც კახეთი. ერთის სიტყვით, დღეს ქართლში ყველაფერს სიცუდეს მოუყრია თავი. ოდესღაც ქართლი მეთაურობდა, თავში უდგა მთელს საქართველოს და დღეს-კი დაქვეითდა და ბოლოში მოექცა. მივუბრუნდეთ თვით ამბებს.

დღეს ქართლში თითქმის დიდი და პატარა დასდგომია ქურდობის გზას, ასე რომ გადააჭარბეს ოსებს, რომელნიც გაოცებულნი დარჩნენ, გულხელი დაიკრიბეს და შესცქერიან ქართლელებს, აცა, როდის გაათავებენ, რომ ჩვენ დავიწყოთო. იპარავენ ცხენებს, ხარ-კამეჩს, ღორებს, ინდაურებს, ქათმებს, სხვა-და-სხვა ავეჯეულობას; გორის მაზრიდამ გაჰყავთ დუშეთისაში, დუშეთიდამ გორის მაზრაში; მიჰყავთ იმერეთში, ოსეთში; ყველგან ამხანაგები ჰყავთ და ასაღებენ ნაპარავს. ჩვენდა სამარცხვინოდ, ქურდობა-ავაზაკობაში ეჩინა თავი ამ ბოლოს დროს იმ ხალხმა, რომელთა წინაპრები სახელოვნად იბრძოდნენ სარწმუნოებისა და მამულის დასაცველად, რომელნიც ჰღვრიდნენ სისხლს ბრძოლის ველზედ თვისთა შვილთა საკეთილდღეოდ, და ახე შვილნი მათნი რას სჩადიან! სოფელს ვერ იპოვნით დღეს ქართლში, რომ ქურდბაცაცა არ იჯდეს. უფრო სახელი გაითქვა ამ მხრით სოფ. ბრეთმა, სადაც აქვს რეზიდენცია ერთს გამოჩენილს ქურდს, რომელიც ამ დღეებში დაატუსაღეს გორში და ჩააბძანეს განსასვენებელს ალაგსა. ამასთან მოჰყავდათ ყოველ კუთხიდამ ნაპარევი და ეს ანაწილებდა, ე. ი. ჰგზავნიდა აქეთ-იქით გასასაღებლად.

ჩვენი თავად-აზნაურობა, უმდა გატეხილი ვსთქვა, უუკიდურეს მდგომარეობაშია დღეს ქართლში. ავსებით აივსო დაბა-სოფლები და ქალაქები უსწავლელ, ან ნახევრად სწავლა-მიღებულ თავად-აზნაურობით; ისე გამრავლდნენ, როგორც ზღვაში ქვიშა და ცაში—ვარსკვლავნი, გზა დაბნეულნი, წუწკ-ბაწაწკებივით დაეხირებიან სოფლით-სოფლად, ქალაქით-ქალაქად, ლოთობენ, პაქარნობენ, უშვერად ილანძღებიან, ერთმანეთს სჩეხენ და ასახიჩრებენ. დღე ისე როგორ გაივლის, რომ უბედურება არ მოახდი-

ნონ-რა. ეს ამოდენა ხალხი სრულიად უსაქმურად დაეხეტება; არც ერთმა მათგანმა საქმისა არა იცის-რა. ამათ, ამ ნახევრად ნასწავლებს, ისევ ისინი სჯობიან, ვისაც განათლებისათვის არ უსუნია და წერა-კითხვა უსწავლია დედისაგან, ან სოფლის მღვდლისაგან. ესენი სიყრმითვე შესჩვევიან შრომას და მითი საზრდოს მოპოვებას, იგინი მხარში ამოსდგომიან სიყრმითვე მოღვაწე გლეხსა და მასთან ერთად იზიარებენ ჭირსაც და ლხინსაც. ნახევრად ნასწავლნი-კი, ეს ჩვენი უბედური „недоросль"-ები, სრულიად დაღუპულნი არიან; ამათი საბოლოო არის ციხე ციმბირი, მხოლოდ ეს ციმბირი თუ მოსჯობავს ამათ, მაგრამ გვიან-ღა იქნება ამათთვისაც და ქვეყნისათვისაც.

ამას წინად ერთი ხროვა აზნაურნი, უსაქმურნი და მაწანწალანი, სწვევიან ს. დვანში ერთს თავადს. რასაკვირველია, კარგად ღრმად უციათ თაყვანი ბახუსისათვის. ახლა რა ჰქნან? ეს ღვინითაც გაძღნენ; ქურდობა არ შეუძლიანთ, თავი აღარა აქვთ; მისჭრიან ერთს ახალგაზდას, რომელიც სადილად მათთან ყოფილა ცოლით, და მოუსურვებიათ იმის ცოლის მოტაცება. შეუსრულებიათ წადილიც: საბრალო ქალი ღამე წივილ-კივილით გამოუთრევიათ, მაგრამ მეზობლებს დაუხსნიათ გაცოფებულ ბოროტ-გამზრახველთაგან. მერე დღეს შეიარაღებულა ქმარი საბრალო ქალისა და გასულა საბრძოლველად, მაგრამ უნამუსოს და ქურდ-ბაცაცას ვაჟკაცობა ვინ მისცა: დილით ადრიან სირცხვილეულნი გაპარულან სოფლიდამ.

ავიღოთ თუნდა ახლად-ახალი ამბავი ნაბახტევის მღვდლის შესახებ, რომელიც ამ თთვის თოთხმეტში მოხდა. მოდის მღვდელი მარტოდ მარტო ნაბახტევიდგან გომისაკენ, სადაც რკინის გზის სადგურია; წინ შეხვდებიან ორი რიგიანის გვარის კაცნი, რომელნიც ეკუთვნიან ზემორე აღწერილს კატეგორიას. კეთილის სალამის მაგივრად, როგორც არის მიღებული ზრდილობიანს ხალხში, ერთი ბახუსის თაყვანის მცემელთაგანი (დალეულები ყოფილან) ეტყვის მღვდელს, ონოფრე გელაშვილს: „მამაო, ცოლები გავცვალოთო! მღვდელს სწყენია; შეჰყოლიან ლაპარაკსა და ერთს მათრახი გადაურტყამს მღვდლისათვის. მღვდელს, უნდა მოგახსენოთ, ძალიან მოსული და შეძლებული კაცია, ერთობ ხელ-ღონიერიც, წაურთმევია მათრახი და სულ ზედ დაუმტვრევია თავი და პირი; წაშველებია მეორე, რომელსაც, რომ ვერ გაუგდებინებია ამხანაგი მღვდლისათვის, ხმალი უხმარია და ორგან დაუჭრია მღვდელი; გამწარებული დაჭრილი გადმომხტარა ცხენიდამ, წაურთმევია ხმალი და ორივე ვაჟბატონები თავით ერთი-ერთმანეთისათვის შეუტაკებია. როგორც ამბობს მღვდელი, ჯიბე მომაჭრეს და რვა თუმანი ფული წამართვესო. აბა, წარმოიდგინეთ, რას ჩადიან, სადამდის დაეცნენ, რომ გზაზედ კაცსაც აღარ ატარებენ თავისუფლად. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მღვდელს რვა თუმანი არ ექნებოდა ჯიბეში, იმაშიაც დარწმუნებულნი ვართ, რომ არც ერთი და არც მეორე იმას ფულს არ ამოაცლიდნენ, ამიტომ რომ ორივენი შეძლებულნი არიან, მაგრამ საქმე ის არის, რად ეკვიატები მგზავრს კაცს და რად უხსენებ ცოლს, რად სცემ და ხათაბალაში ჰრევ შენს თავსა? ეს გმირნიც დღეს ციხეში ბრძანდებიან და წინ ციმბირი უდევთ, თუ მართლა დამტკიცდა, რომ გაძარცვეს მღვდელი.

ზოგმა შორს გაითქვა თავისი სახელი ქურდობა-ავაზაკობით და მით თავიც მოაქვს. ამას წინად თურმე გამოჩენილი ბრეთელი ქურდი მაყრად გახლდათ იმერეთში, საიდამაც ქართლში ქალი წამოიყვანეს. ენახოთ, ვინც არა მგონია, ბრეთელს რაინდს თავს უკრავს და მოწიწებით კითხულობს ვინ არის ეგ კაცი, ასეთი ჩაჩულიაა და პატივს-კი ბევრს აძლევენო. „იმე, ბატონო, ეუბნებიან თურმე საჩხერლები: ეგ არის, ვინც არის, დიდი ყმისა და მამულის პატრონი, თქვენ ნუ მომიკვდეთ, დიდი ჯოგისა და ფარის პატრონი; თითვე ისე რავა გავა, რომ მაგან ფარა-ფარა არ გადმორეკოს ცხენი, ხარი, კამეჩი, ღორი, მაგენისაგან გვიდგია სული". თურმე ნუ ბრძანებთ, ბრეთელს რაინდს გადაუდიოდა ნაპარევი საჩხერეში და მყიდველებს ეუბნებოდა, რომ ჩემის ჯოგისააო. ერთის სიტყვით ამ ბრეთელმა რაინდმა აკლებით აგვიკლო.

გლეხთა შორის ქურდობენ ის გლეხები, რომელნიც მოჰყოლიან ქალაქ ადგილას პატარაობითვე, გაკინტოებულან იქა, მერე, რაკი ლილა გასცვეთიათ, მისულან სოფლად თავის სახლში, და რაკი სოფლის მუშად აღარ გამომდგარან, ქურდობა დაუწყიათ. ამას წინად, როგორც გაზეთებშიაც იყო, სოფ. ვარიანში ორასის თუმნის მეტი სარჩო-საბადებელი გამოზიდეს გაკინტოებულმა გლეხებმა, მაგრამ გორის პოლიციის ბოქაულმა ბ-ნმა გვარამაძემ მეორე დღესვე აღმოაჩინა ქურდები და ყველანი შეიპყრო.

ეს სოფლად. ქალაქებში ხომ ნუღარ მეტყვით. გორში სახლი არ არის, რომ არა დაეკარგნოს-რა. რაც-კი ხელს მოხვდებათ, ყველაფერს იპარავენ: კალოშები აღარ დააყენეს, ფარდაგები, ხალიჩები, სარეცხი, ქვაბები, ლოგინი, ქათმები, ბატები, ინდოურები. ერთის სიტყვით, სულთადგმა არა გვაქვს ქურდ-ბაცაცებისაგან. ამ დღეებში ზემოხსენებულმავე პოლიციის ბოქაულმა თხუთმეტი ქურდობა აღმოაჩინა გორში და დამნაშავენი შეიპყრო. კიდევ კარგი, რომ ბ-ნი გ—ძე მუყაითი კაცია, უშიშარი და გამბედავი, კვალში უდგია ქურდებს და ავაზაკებს, თორემ მთელს გორს გააჩანაგებდნენ.

აი ასეთს სურათს წარმოადგენს დღეს ქართლი თავის ქალაქით—გორით. რა წამალი აქვს ამას? წამალი ბევრ ნაირია, მაგრამ მხოლოდ დროებით არჩენს მუწუკს და ძირიანად-კი ვერა ფხვრის, და იმისთანა წამალი-კი, რომელიც ძირიანად მოსთხრიდეს მუწუკს, თუმცა კიდეც იშოვება, მაგრამ ხელს ვერვინ ჰკიდებს, წინა-მასწარაობისა ეშინიან.

## სამეგრელოს საჯარო წიგნთ-საცავის გამო.

ჩვენს ღარიბს მწერლობას ყოველ წლობით ემატება რამდენიმე ახალი წიგნი. ამას გარდა შესდგა „ქართველთა ამხანაგობა წიგნების ბეჭდვისა". ამხანაგობას აზრად აქვს მრავლად დაჰბეჭდოს წიგნები და ხელმისაწვდენ ფასად ხალხში გაავრცელოს. ეს დაწესებულება, ყველასათვის ცხადია, დიდად სასარგებლოა, მაგრამ წიგნი რომ წელიწადში ასობით და ათასობით იბეჭდებოდეს, ეს კიდევ არ კმარა. საქმე მათი გავრცელებაა. საქმე ის არის, რომ იმატოს და იბარტყოს წიგნის მკითხველმა, გაადვილდეს წიგნების მოპოვება და წაკითხვა. აი, მაგალითად, როგორ მოიპოვოს და წაიკითხოს წიგნი სხვა-და-სხვა მივარდნილ სოფლებში კაცმა, თუნდა სურვილიცა ჰქონდეს კითხვისა, მეტადრე თუ ასეთი კაცი ცოტა ხელ-მოკლე და შეუძლებელიც არის?

მაშ რა არის საჭირო, რომ გავუადვილოთ ხალხს და აღვუძრათ სურვილი ქართულის წიგნის კითხვისა და მოპოვებისა? ამისათვის, ჩემის აზრით, კარგი იქნება შესდგებოდეს ამხანაგობანი და ეს ამხანაგობანი დააარსებდნენ სამაზრო ქალაქებსა, დაბებსა და სოფლებში საჯარო წიგნთ-საცავებს. მე ელაპარაკობ ისეთ წიგნთ-საცავების შესახებ, სადაც უსასყიდლოდ შეეძლება ქართულის წიგნის წაკითხვა შეუძლებელ მკითხველს. ყველამ ვიცით, რომ თუ სადმე სხვაგან საქართველოში უყვართ კითხვა ქართულის წიგნებისა, ამ სურვილს არც სამეგრელოა მოკლებული. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, აქაურ სამაზრო ქალაქებში, ახალ სენაკსა და ზუგდიდში, ქართულის წიგნის მოპოვება და წაკითხვა ძალიან ძნელია, სურვილი და ხალისი წიგნის კითხვისა-კი იყო დღემდისაც, არის დღესაც და, იმედია, შემდეგში უფრო გაძლიერდება და არ შესუსტდება-კი.

ეს სურვილი დღემდის სურვილად რჩებოდა, დღეს-კი ასეთმა მოთხოვნილებამ დაჰბადა ის ამხანაგობა, რომელსაც აქვს აზრად შეჰკრიბოს ფონდი დასაარსებლად საჯარო წიგნთ-საცავისა დ. ახალ-სენაკში. ამის გამო გაჰმართეს ხელის მოწერა, რომლის საქმეც კარგად მიდის. ყველანი, იმედი გვაქვს, ალტაცებით მიეგებებიან ამ კეთილს საქმეს და არ დაზოგავენ თავიანთ მცირე შესაწევარს ამ საქმის სასარგებლოდ. დღესვე საქართველოს ყველა კუთხიდამ მოგვდის თანაგრძნობის წერილები და შეწირულებანი. ბ-ნ ალექსანდრე როინაშვილის შემოწირულებამ (მან შემოსწირა ოც-და-ათის მანეთის ქართული წიგნები და სურათები) მეტად გაამხნევა ჩვენი ამხანაგობა. დიდად სასიამოვნოა, რომ ყოველ მხრით ხელი გამოუწოდეს და შემწეობა აღმოუჩინეს ამ სამეგრელოსათვის სასარგებლო დაწყობილებას. სამეგრელოს წიგნთ-საცავის დამაარსებელი საზოგადოებასვე იმედი აქვს, რომ ჩვენი ლიტერატორები, მწერლები და წიგნის მბეჭდველნიც არ დაიშურებენ თითო-ოროლა წიგნს ხსენებულ კეთილს საქმისათვის, რომლისათვისაც დიდად სცდილობს ქ-ნი ბ. ბ—ლისა. ამ ქალის არა მცირედი ღვაწლი აქაურ დედათა სკოლის წინაშე თავ-მდებია იმისი, რომ ამ საქმესაც ბედი გაუღიმებს, კარგად წავა და შესაფერს ნაყოფს გამოიღებს.

X. X.

დ. ახალ-სენაკი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამას წინად პეტერბურგში ცნობილმა კლასიკების რუსულად მთარგმნელმა ბ-ნმა პ. ი. ვეინბერგმა ლექცია წაიკითხა ინგლისისა, საფრანგეთისა და გერმანიის სიტყვა-კაზმულ ლიტერატურის შესახებ მე-XVIII საუკუნეში. ეს ლექცია მოკლედ არის დაბეჭდილი გაზ. „Новости"-ში. ლექტორმა სთქვა თურმე, რომ

მე-XVIII საუკუნე განათლების, გონების სრულ-წლოვანების, განთავისუფლებისაკენ მისწრაფების საუკუნეა. ეს ის დროა, როცა ახალი ხანა ძველს, დახავსებულს ებრძვის, ადამიანი აზრისა და გრძნობის დამოუკიდებლობას ეტანება და დემოკრატია სცდილობს, რომ მეცნიერება ყველასათვის ხელმისაწვდენელი იყოს, წინააღმდეგ წინანდელ დროისა, როცა მეცნიერება და ლიტერატურა მხოლოდ მცირეოდენის წრის საკუთრება იყო. მე-XVIII საუკუნეში თანდათან ფეხს იდგამს და მეფდება გონება, იგი ჰხდება საზოგადო და კერძო საქმის მოსამართლედ და კანონ-მდებლად.

ასეთია მე-XVIII საუკუნე, ეს ღირსეული მომდევნო და მემკვიდრე მე-XVII საუკუნესი.

მე-XVIII საუკუნეს ორი განსაკუთრებული თვისება აქვს—ერთობა თავისუფალის გამოკვლევისა და სითამამე ნაშრომ-ნაღვაწისა. მე-XVIII საუკ. გონებრივი მოძრაობა უეცრად გამოტყვრენილი, სრულიად მოულოდნელი და ახალი ამბავი არ იყო კაცობრიობისა და საზოგადოებისათვის. ჯერ მე-XVI საუკ. დამლევსვე დაიღუპა კოცონზედ თავისუფალ მოაზრეთა ერთი პირველ წარმომადგენელთაგანი—ჯორდანო ბრუნო. დაიღუპა იგი, მაგრამ მაინც მოასწრო და უხვად განაბნია ადამიანის გონებაში თესლი კვლევისა და ძიების ეჭვისა, ესე იგი იმისა, რაც გულს შეადგენს მის მომდევნო გონებრივ მოძრაობისას. ნამდვილად დასაწყისი და თავი-კი ახალს მოძრაობას გამოება მე-XVII საუკ., როდესაც სცხოვრობდა და ხალხს ასწავლიდა სამი დიდებული ფილოსოფოსი: ინგლისელი ბეკონ ვერულამელი, ფრანგი დეკარტი და ჰოლანდიელი ებრაელი სპინოზა. ბეკონს უმაღლეს კანონად ის მიაჩნდა, რომ ადამიანმა ჭეშმარიტის გონების თვალით მიუდგომელად ნესტარი უნდა გაუტაროს ყველაფერს და სამეცნიერო ძიებასა და სარწმუნოებრივ მოძღვრებას შორის დიდი ზღვარი დასდოსო. დეკარტი ასწავლიდა, რომ ყოველისავე სიბრძნის დასაბამი საერთო სკეპტიციზმია; ყოველის ცოდნის დასაბამი კიდევ ის იქნება, რომ უარ ვყოთ უწინდელი ცრუ-მორწმუნეობანი და ყოველივე ჩვენი აზრი ჩვენს გამოცდილებაზედ დავამყაროთო. სპინოზა გამოვიდა და საჩრდილო და ქომაგი დაუწყო უსაზღვროს სარწმუნოებრივსა და საფილოსოფო აზრის თავისუფლებას. იგი ისეთი მწერალი იყო, რომლის თხზულებათა წაკითხვის შემდეგაც მოხუცი გიოტე ამბობდა: „სამყაროს საიდუმლოების ნისლი და ბურუსი თანდათან უფრო ნათლად იწმინდება და თვალ-წინ მეშლებაო".

აი ამ დიდებულმა ფილოსოფოსებმა დასდეს დასაბამი ახალს მოძრაობას, რომელიც შემდეგ გაივსო, გაძლიერდა და საზარელი შეიქნა. იმათ დაუფასებელი სამსახური მიუძღვის კაცობრიობისა და საზოგადოების წინაშე. ისინი ასწავლიდნენ ხალხს, რომ გიყვარდეთ სიმართლე მარტო ოდენ სიმართლისათვის, ვინაიდგან იგია უუმაღლესი კუთვნილება და სამკაული კაცობრიობისა, იგი ჰხსნის ჯაჭვთ-ბორკილს ჭკუას, იგია გამომხატველი საზოგადოების ავკარგიანობისა და თავისი ჯილდოც თითონვეაო.

სამი ერი ჰმუშაობდა ამ ადამიანის გონების განმარწყვენვალებისა და განთავისუფლების საუკუნეში—ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები. ეს კულტურით ძლიერნი ერნი ერთმანეთის ხმას აძლევენ და ჰმუშაობენ; სადაც ერთი სწყვეტს მუშაობას და ნაყიდად სტოვებს საქმეს, იქ მეორე ეშველება, ხელს ჰკიდებს და განაგრძობს. ყველანი მხარი მხარს ამოსდგომიან ერთმანეთს და თანხმობით ჰმოქმედებენ. ამ ხოროში დამწყები ინგლისია. ამ ქვეყანაში გამოკვეთილია ის იარაღი და აბჯარ-ჩაჩქანი, რომლითაც მისნი მოკავშირენი გამოვიდნენ მამაცად და გულადად გონებრივის ბრძოლის ასპარეზზედ, ამას ეკუთვნის დიდი ღვაწლი ფიზიკასა, მათემატიკასა და ყველა იმ მეცნიერებაში, რომელმაც პროგრესის მძიმე ეტლს ძრა მისცა. ინგლისის განმარტოებული საგეოგრაფიო მდებარეობა და აგრეთვე მისი ზნე-ჩვეულება გახდა მიზეზად იმისა, რომ პირველობა ახალ აზრთა გავრცელების საქმეში საფრანგეთმა დაიჩემა. გერმანია მხოლოდ შემდეგ გამოვიდა ასპარეზზედ, ყველაზედ გვიან, ფრიდრიხ დიდის მეფობის დროს.

გონებრივი მოძრაობა ინგლისში 1688 წელს დაიწყო. აქედგან ბუნების მეტყველებამ თანდათან ფეხი აიდგა, ხელი ჩასჭიდა უკვე განვითარებულსავე სკეპტიციზმს და სარწმუნოების შეწყნარების დედა-აზრს და ის დიდი საქმე გააკეთა, რომ 1611 წელს უკანასკნელად დასწვეს კოცონზედ ადამიანი ერეტიკოსობისათვის.

მე-XVIII საუკ. განთავისუფლებისათვის ბრძოლას სარდლებად დაუდგნენ ბუნების-მეტყველნი ბეკონი და დიდებული ნიუტონი. თითქმის ამათივე მაგვარია მეორე ნიუტონის დროინდელი მეცნიერი—გამოჩენილი ლოკკი. ამათი სულიერი ერთობა, ესე იგი ნათესაობა ფილოსოფიისა და ბუნების-მეტყველებისა იმაში მდგომარეობს, რომ ლოკკი ადამიანის სულს იმავე ნესტარით ჰსინჯავდა, რა ნესტარსაც იმის თანამედროვე ბუნების-მეტყველნი ბუნებას უტარებდნენ. თავისს წვრილმან თხზულებებში ლოკკმა გამოსთქვა თავის დროის აზრნი და საიდუმლოებანი გულისა. მან დაჰსახა ექსპერიმენტალური ფილოსოფია, გონება ყველაფერს გაუმეფა და ძველ ოცნებობას მძიმე ლახტი დაჰკრა, ბეკონსავით. იგი გატაცებით ჰქადაგებდა სიყვარულისა და სარწმუნოებრივის შეწყნარების სახარებას, იდეალს წმიდა და ჭეშმარიტ ზნეობისას. იგი თხოულობდა, რომ ყველა თავისუფალი უნდა იყოს, ებრაელი, წარმართი, მაჰმადიანი თანასწორის სამოქალაქო უფლებანით უნდა ჰსარგებლობდნენო. ლოკკს, ახალ ლიტერატურის შემქნელთა შორის, მოჰყვა ერთი იმისი საუკეთესო შეგირდთაგანი, შეფსბერი, რომელმაც თავის ფარად და ხმლად, სისტემატიურ გონებისა და სათნოების მაგიერ, სკეპტიციზმი და სიცილის, დაცინვის ისარი აირჩია და წინა აღუდგა ფანატიზმსა და სარწმუნოებრივს შეუწყნარებლობას. იმას სხვანიც მიემატნენ, აღიჭურვნენ დაცინვის ისრით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილოსოფიურ და ისტორიულ იარაღით და ასე მომზადებულნი თავს დაესხმნენ მამა პაპითვე აღიარებულსა და თითქმის სარწმუნოებად გადაქცეულს მოძღვრებას. ესენი იყვნენ, ესრედ წოდებული, დეისტები...

ინგლისშიო, სთქვა თურმე დასასრულ ლექტორმა: მე-XVIII საუკ. დასაწყისში ცხოვრებამ და მეცნიერებამ თანამად გაუწოდა ერთმანეთს ხელი, ახალმა ნიავმა მოჰბერა, ახალი ფილოსოფოსები გამოვიდნენ მოედანზედ, ახალი ტეოლოგია და ახალი ზნეობრივი მოძღვრება დაიბადა.

## რუსეთი

მიტავის ქარხანაში სხვათა შორის ჰმუშაობდა ერთი ცოტად თუ ბევრად ლამაზი გასათხოვარი ქალი მარია ბოლტრაიტისა, რომელიც შეუყვარდა ქარხანაშივე მომუშავე ერთს ოცის წლის ყმაწვილს, იაკობ ეტლიტს, მაგრამ სამწუხაროდ ამ ყმაწვილ-კაცის გატაცებულმა სიყვარულმა ვერაფერი გააწყო და ვერას გზით ვერ შეაყვარა თავი თავის საყვარელს. ქალის გულცივობამ იქამდე მიაღწია, რომ ეტლიტს არ იცოდა რა ექმნა. დასასრულ გადასწყვიტა, რომ ყოველივე იმედი მარიას ცოლად შერთვისა გამიცუდდა, გამიქრა და მხოლოდ ის-ღა დამრჩენია, რომ ასეთის გულ-ცივობისათვის ჩემს საცოლეს სხვა გვარად გავუსწორდეო. დეე თუ ჩემი არ იქნება, ნურც სხვას ეკუთვნოდესო. მართლადაც ერთს მშვენიერს დღეს ეტლიტმა წაიღო შინიდგან ვეებერთელა დანა, მივიდა ქარხანაში, არც აცივა არც აცხელა, ქარხნის პატრონს სთხოვა ჯამაგირი მომეცი და გამათავისუფლეო. სანამ ჯამაგირის რაოდენობას იანგარიშებდნენ, იაკოფი მიუბრუნდა თავის მტანჯველს და ლაპარაკებას უპირებდა, მაგრამ მარიამ ზურგი შეაქცია. „ცქერაც-კი გეზიზღება ჩემიო“? წარმოსთქვა რაღაც განწირულებითა და თავ-დაუწყვებით სიყვარულის ცეცხლით დამწვარ-დადაგულმა იაკოფმა. მარიამ არც ამას მიაქცია ყურადღება და თავის საქმეში გაერთო. მაშინ უარ ყოფილმა მიჯნურმა ამოიღო დანა და შვიდჯერ ზედი-ზედ დასცა საბრალო მსხვერპლს, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე დაკივლება მოასწრო და განუტევა სული. ეტლიტი დაატუსაღეს. სასამართლოში მან აღიარა თავისი დანაშაული და დაამატა, რომ ბოლტრაიტისამ პირველად აღმითქვა ცოლად გამოგყვებიო და შემდეგ-კი იმდენად გამიგულგრილდა, რომ ჩემთან ლაპარაკიც ეზიზღებოდა, ამიტომაც გადავწყვიტე მისი მოკვლა და მოვკალი კიდეც. მე არ შემეძლო ამეტანა, რომ ის სხვისი ცოლი გამხდარიყოო. მიტავის ოლქის სასამართლომ ეტლიტი იცნო დამნაშავედ [illegible] განზრახულ ჩადენილს მკვლელობაში იმ დროს, როცა ის ძლიერ გაანჩხლებული იყო და იხელმძღვანიელა რა ამისა მცირე წლოვანება, გადაუწყვიტა ღირსების ჩამორთმევა და ციმბირის შორეულ ადგილებში გაგზავნა დასასახლებლად.

— როგორც ამბობს „Москов. Лист.“, ამ დღეებში მდინარე ვისლა ისე გაუყინავს, რომ შესაძლებელი ყოფილა მარხილით სიარული. ამიტომაც ვილაც მარტინ მალკოვსკი და ორიც სხვა კაცი გამგზავრებულა ვარშავაში და ძლიერის ქარ-ბუქის გამო ამ მდინარეზე გზა დაჰკარგვიათ და ჩავარდნილან ისეთს ალაგას, სადაც ყინული გამსქდარი ყოფილა და ყინულს ქვეშ მოჰქცევიან. დამრჩვალთა გვამი ჯერაც ვერ უპოვიათ.

— უწმიდესს სინოდთან დაარსებულმა სამასწავლებლო საბჭომ დაადგინა სამრევლო სკოლებში შემოიღოს სამეურნეო საგნების სწავლებაც, რათა გავრცელდეს ხალხში სამეურნეო სწავლა-ცოდნა. ყველა სასწავლებელს, სადაც შესაძლებელი იქნება სამეურნეო საგნების სწავლება შემოიღონ, დაენიშნება სახელმწიფო ქონებათა თანხიდამ 1,200 მან.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ბ-ნი ანტონ ფურცელაძე „ივერიის“ მე-22 №-ში დაბეჭდილ წერილში სხვათა შორის ამბობს: „რადგან ბევრმა მოაწერა „თეატრზე“ ხელი ჩემის თხოვნით, ამის გამო ვალად ვრაცხ ჩემს თავს გავუსწორდე მე—როგორც ეს მოხდა შესახებ „მიმოხილვის“ ხელის-მომწერლებისა და პაის პატრონებისაო“ და სხვ.

მეც ამ „მიმოხილვის“ ერთი ხელის-მომწერელთაგანი და პაის პატრონთაგანი გახლდით. რადგანაც მსურდა „მიმოხილვის“ გამოწერა ქ. გორში, ბ-ნ ანტონ ფურცელაძეს ჩავაბარე გამოსაწერი რვა მანეთი და პაის ფული—ხუთი თუმანი და ვთხოვე, რომ ხსენებულ ჟურნალის რედაქციისათვის გარდაეცა. ეს აღნიშნული ფული (58 მ.), ნამდვილად ვიცი, დანიშნულისამებრ არ გარდაუცია ბ-ნ ანტონ ფურცელაძეს. თითონ მას, როდესაც მისთვის მომიგონებია ამ ფულის დაბრუნება, რამდენჯერმე უთქვამს, რომ ეს ფული ჩემთან არისო. ამის გამო სრული იმედი გვაქვს, რომ ა. ფურცელაძე არ იკადრებს სხვის ფულის (58 მან.) დაჭერას და გადასცემს „ივერიის“ რედაქციას, რომელსაც ვსთხოვ მიღებისათანავე ასე გაანაწილოს: ოცდა-ხუთი მანეთი განსვენებულის დ. ზ. ბაქრაძის ფონდს მიაწეროს, ჩვიდმეტი მან. წინამძღვარიშვილის სკოლას გარდასცეს და დანარჩენი თექვსმეტი მან. მომავალ საქალებო სკოლის დამაარსებელ გამგეობას.

მე სრულებით არ აღვძრავდი ამ საგანზედ ლაპარაკს და არც მოვთხოვდი ამ ფულს ბ-ნ ანტონ ფურცელაძეს, რომ ნამდვილად არ ვიცოდე, რომ ჩაბარებული ჩემ მიერ ფული ხსენებულ „მიმოხილვის“ რედაქციას არ გარდასცემია.

თ. ნიკ. ლიასამიძე

### II

„ივერიის“ მე-22 №-ში დაბეჭდილი იყო წერილი ანტონ ფურცელაძისა, რომელშიაც მოგვითხრობს: „რადგან ჩემის თხოვნით „თეატრი“ ბევრმა გამოიწერა და რადგანაც დღეს აქნობამდის ეს გაზეთი შესდგა, ანუ შესწყდა სამუდამოდაო, ამის გამო ვალად ვრაცხ ჩემს თავს, მევე გავუსწორდე იმათ, ვინც ჩემის თხოვნით გამოიწერაო. ამ მოკლე ხანში გავგზავნებათ ჩემი თხზულებანი „ბრძოლა ქართლის მოსპობაზედ“, „კაი მართალთა“ და „მაცი ხვიტია“. ვინც არ ისურვებს ამ თხზულებებს, შემიძლიან ფულად გავუსწორდეო.“ ჩემის აზრით, ამაზე მეტი ზრდილობა და პატიოსნება ამ შემთხვევაში კაცს არ მოეთხოვება და მადლობის მეტი ან ვის რა ეთქმის! მაგრამ, მაგარი ის არის, რომ მე ვერ მოვუყვები ანტონის სიაში. ჩემთვის არავის უთხოვნია „თეატრის“ გამოწერა, მევე მოვინდომე და სხვებსაც ვთხოვე ხელი გაეწერდინათ და მილასლასებული „თეატრი“ ცოტათი მაინც მოესულიერებინათ. რამდენიმე „თეატრის“ ნომერი ვიყიდე, ბაქოსა და ბათუმშიაც-კი გავგზავნე და თანაც ვწერდი: რადგანაც წრეულს აკაკი, ანტონი და სხვანი დაჰპირდნენ ამ გაზეთს მონაწილეობის მიღებას, ამიტომ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „თეატრი“, ლასლასის მაგიერად, იორღითაც დაიწყებს სირბილს-მეთქი. ზოგმა მათგანმა გამოიწერა. ახლა რას მიბრძანებთ, ბატონებო: მე არც პოეტი ვარ, არც უბრალო მწერალი, ფულიც სომ სულ არ მომეპოვება და მაშ მე რაღათი გავუსწორდე იმათ, რომლებმაც, ვინ იცის, უკანასკნელი ხუთი მანეთი არ დაიშურეს, ოღონდ უბედურ დღეზე დაბადებულ „თეატრს“-კი ამ წუთი-სოფელში ეღონდიალა?!

ლავრენტი ჯავრიშვილი

## დეპეშა

31 იანვარი

პეტერბურგი. დღეს საზამთრო სასახლის კარაპანზე უმაღლესი ალლუმი იყო ჯარებისა. ალლუმს დაესწრო ერცჰერცოგი ფრანც-ფერდინანდი თავის ბუგის დრაგუნთა პოლკის მუნდირით. თუმცა დიდი ნამქერი იყო, მაგრამ მაინც ჯარები დიდის წესითა და რიგით წარსდგნენ სტუმრის წინაშე. საზამთრო სასახლეში საუზმე იყო გამართული. საუზმეზედ მიწვეულ იქმნენ: უფროსნი ალლუმის ჯარებისანი და დეპუტაცია ბუგის პოლკისა, მოსული იმიტომ-რომ წარმდგარიყო თავის მეფის წინაშე. დღეს დილითვე ერცჰერცოგი წაბრძანდა დარბაზობის გასაწევად დიდ მთავარ კონსტანტინე ნიკოლოზის ძესთან, ხოლო საღამო გაატარა ბალში, რომელიც გამართული იყო საზამთრო სასახლის საკონცერტო დარბაზში.

გუშინ საფრანგეთის სამხედრო დესპანებმა დაათვალიერეს კავალერგარდის პოლკი, სადაც დიდის სტუმართმოყვარეობით დაუხვდნენ და შესთავაზეს საუზმე.

კოლომბო. აქ მოვიდა რუსეთის ესკადრა. მემკვიდრე ცესარევიჩი გადმობრძანდება ხმელეთზე ნაშუადღევს და კოლომბოს დათვალიერების შემდეგ ისადილებს გუბერნატორთან, შემდეგ მის უმაღლესობის პატივსაცემლად იყო დარბაზობა. ხვალ დილით მემკვიდრე ცესარევიჩი კანდოს გაემგზავრება.

ბერლინი. დღეს საფრანგეთის ელჩს ერბეტს სადილი ჰქონდა იმპერატორის პატივსაცემლად და მიწვეულნი იყვნენ 33 კაცი, მათ შორის კანცლერი კაპრივიცა და გარეშე საქმეთა მინისტრი მარშალიცა. დედოფალი სადილზე არ დასწრებია.

## განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

**პატარა ქახი**

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ივერია**

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | „ . . . | 9 „ 50 „ | 5 | „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ 75 „ | 4 | „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ — „ | 3 | „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ 25 „ | 2 | „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ 50 „ | 1 | „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.



«წერა-კითხვის საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელონი, შედგენილნი გოგებაშვილის მიერ

**Русское Слово**, ნაწილი პირველი, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით და რუსული დედნით. ფასი ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ხუთ შაურად. უდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Русское Слово**, ნაწილი მეორე, გამოცემა მეორე, შესწორებული და შევსებული, მრავალი სურათებით; ფასი ორი აბაზი. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ოც-და-ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა 32 კაპეიკად. უდისათვის დაემატება რვა კაპეიკი.

**Руководство** для учителей къ преподаванію по Русскому Слову“. ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაუთმობა ორ აბაზად.



**„დასავლეთი“**

ახალი რესტორანი, კრაზე, მებურნუთოვის სახლებში, ფოსტის სადგომის გვერდით.

რესტორანის სადგომი ახლად შეკეთებულია და თბილი. საჭმელები ევროპიული და ჩვენებური; საუკეთესო ბუფეტია. სასმელები ევროპიული და ჩვენებური.

სადილები დღიურად და თთვიურად შეიძლება თვითონ რესტორანში მიიღონ ან ბინაზე, შინ სახლში, წაიღონ. რესტორანში ცალკე ოთახებიცაა, მშვენიერად მორთული და მოწყობილი.

ფასები ყველაფრისა იაფია.

თავმდები ვართ, რომ ხორაგეული სუფთაა და ბუფეტი უნაკლულო.

ნ. ჩიკვაიძე და ს. მელიქგაური

(40—16)


Тифлисъ, Доз. цен. 1-го Февраля 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, уголъ Баронской и Лорисъ-Melик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.